ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2024 წლის 15 იანვარი

დაბა ადიგენი

„ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მაისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მაისის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/05/2019 280010000.35.137.016451), კერძოდ:

ა)დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ)დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. 18 წლის ასაკს ზევით შშმ და სოციალურად დაუცველ პირებს ფიზიოთერაპია და ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია დაუფინანსდებათ:

ა) 3000 ლარამდე 100%-ით;

ბ) 5000 ლარამდე 50 %-ით.”

გ)დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

„7^1 . ამ მუხლის 1-ლი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დაფინანსება, საგამონაკლისო წესით, ორჯერადად განხორციელდება, უკიდურესად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ პირებისთვის ამბოლატორიულ მომსახურებაზე, სტაციონარულ მომსახურებასა და სამედიცინო გამოკვლევაზე.“

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^2 პუნქტი:

„7^2. ამ მუხლის მიზნებისთვის უკიდურესად გაჭირვებულია პირი რომელიც ჩამოთვლილთაგან აკმაყოფილებს შემდეგ ერთ კრიტერიუმს მაინც:

ა) მინიჭებული აქვს მარტოხელა, მშობლის სტატუსი;

ბ) მინიჭებული აქვს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი;

გ) არის მარტოხელა პენსიონერი;

დ) მინიჭებული აქვს მარჩენალდაკარგულის სტატუსი;

ე) არ უფიქსირდება ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი;

ვ) მინიჭებული აქვს შშმ პირის სტატუსი.

ე)დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“ პუნქტი:

„ჟ) მე-4 მუხლის 7^2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შმაგი ბიძიშვილი**